

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდისთვის

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

თბილისი 2021

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

შესავალი

პედაგოგთა საგნობრივი გამოცდის ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის სტანდარტს. ტესტის საშუალებით ფასდება საგნის სწავლებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მასალის ცოდნა, მასწავლებლის მიერ პრაქტიკული უნარების გამოყენება, შემოქმედებითი უნარი, ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზის საფუძველზე კი ლოგიკური მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

იმისათვის, რომ მასწავლებლებს დახმარება გავუწიოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადების პროცესში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულს - „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“. კრებულში მოცემულია ინფორმაცია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტის შესახებ: მასწავლებლის სტანდარტი (დანართი I), საგამოცდო პროგრამა (დანართი II), 2020 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი, განხილულია ტესტური დავალებები, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები. მოცემულია ტესტზე მუშაობისას დაშვებული ტიპური შეცდომების ჩამონათვალი, რასაც, ტესტურ დავალებათა მოთხოვნების სრულყოფილად გასააზრებლად, თან ერთვის განმარტებები და რეკომენდაციები.

იმედი გვაქვს, წარმოდგენილი მასალა დაეხმარება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

გისურვებთ წარმატებას!

შინაარსი

შესავალი..... 3

I თავი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

1. ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება..... 6
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი..... 8

II თავი

ტესტის შეფასების სქემა, ტესტურ დავალებათა ტიპები, განმარტებები, რეკომენდაციები

1. შეფასების სქემა.....45
2. დავალებათა ტიპები, განმარტებები, რეკომენდაციები.....50

დანართი I

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი..... 56

დანართი II

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში70

I თავი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

2020 წელს გამოყენებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

1. ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

საგნობრივი გამოცდის ტესტი შედგება დახურული და ღია დავალებებისგან და ამოწმებს: ა) საგნობრივ ცოდნას; ბ) ცოდნის გამოყენების უნარს; გ) ხელოვნების ნიმუშის ანალიზის უნარს.

ქვემოთ მოცემულია საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

რას ვაფასებთ	დავალების ინსტრუქცია	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
საგნობრივი კომპეტენცია				
1. ცოდნა				
ქართული ხელოვნება;	4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი.	19	1	19
მსოფლიო ხელოვნება;	აღნიშნეთ ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება და მცდარი პასუხის გასწვრივ ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.	6	1	6
ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები, სტილური მახასიათებლები;	შეუსაბამეთ ერთ სვეტში მოცემული ჩამონათვალი მეორე სვეტში მოცემულ საილუსტრაციო მასალას ან დებულებებს.	2	3	6
სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები;				

ტერმინები და მხატვრული ენა; სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები				
2. გამოყენება				
პრაქტიკული უნარები	მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ცალკე ფურცელზე შექმენით კომპოზიცია.	1	7	7
მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები	დაალაგეთ მოცემულობა ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ).	5	1	5
ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი	დააკვირდით ხელოვნების ნიმუშს, გაიაზრეთ მითითებების მიხედვით.	1		15
	დაადგინეთ ხელოვნების ნიმუშის სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები და მათი ურთიერთმიმართება	1		4
მაქსიმალური ქულა მთელი ტესტისათვის				60 ქულა

პასუხები პედაგოგმა უნდა გადაიტანოს პასუხების ფურცელზე. ტესტზე მუშაობია ხანგრძლივობა შეადგენს 4 საათს.


მინიმალური ზღვარი

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%, ანუ კანდიდატმა უნდა წარმატებული შედეგისთვის უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ს +1 ქულა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტის მაქსიმალურ ქულაა 60, შესაბამისად, 37 ქულა ან მეტი.

2020 წლის საგამოცდო ტესტი

ინსტრუქცია № 1-19 დავალებებისათვის (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა) - თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ., ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

1. რომელ არქიტექტურულ ტიპს მიეკუთვნება სურათზე წარმოდგენილი არქიტექტურული ტაძრის გეგმა?




ა) ტრიკონქს;

ბ) ტეტრაკონქს;

გ) ბაზილიკას;


დ) მრავალაფსიდიანს.

2. რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი ფრაგონარის ფერწერული სურათისათვის „საქანელა“?



- ა) კომპოზიციის დეკორატიული ხასიათი;
- ბ) ფორმათა განზოგადებით შექმნილი მონუმენტალიზმი;
- გ) გამჭვირვალე და ჰაეროვანი ფერწერული მანერა;
- დ) ლირიზმი, შექმნილი მსუბუქი ფერადოვანი გადაწყვეტით.

3. რომელია ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაში მრავალაფსიდიანი ტიპის არქიტექტურის ნიმუში?



ა) ტბეთი;

ბ) ქვათახევი;

გ) ალავერდი;

დ) გავაზი.

4. რომელი თავისებურებით ხასიათდება ახალი შუამთის მხატვრობა?



ა) კონტურული ნახატი მკვეთრია და კუთხოვანი, ფიგურათა პროპორციები დარღვეული, გამოსახულებათა ფორმები სიბრტყობრივი, კომპოზიცია სიმეტრიული;

ბ) კომპოზიცია თავისუფალი და დინამიკურია, ნახატი დახვეწილი, პროპორციული და პლასტიკური, ფორმები რეალისტური და განზოგადებული, კომპოზიციები მოკლებულია დეტალებით თხრობას;

გ) კომპოზიცია მრავალფეროვანია, ნახატი დინამიკური და ტეხილი, გამოსახულებები უტრირებული, ფორმები ფერწერულად მოდელირებული, იქმნება სივრცის ილუზია, კომპოზიციაში თხრობა დეტალებით ვითარდება;

დ) გამოსახულება უხეშია და მანერული, კოლორიტი მშრალი, კომპოზიციები ზედმეტად დეკორატიული, მონუმენტური მხატვრობა თავისი ხასიათით ხატწერას უახლოვდება.

5. ვინ არის ფოტოზე წარმოდგენილი სკულპტურული კომპოზიციის ავტორი?



- ა) ანტონიო კანოვა;
- ბ) ლორენცო ბერნინი;
- გ) მიქელანჯელო ბუონაროტი;
- დ) ოგიუსტ როდენი.

6. რომელი მხატვრული თავისებურება არ ატასიატებს მშვიდობის საკურთხეველის რელიეფს?



ა) რელიეფური კომპოზიცია ანატომიის ცოდნის საფუძველზე შექმნილ ადამიანთა მოცულობით გამოსახულებებს წარმოგვიდგენს;

ბ) რელიეფური კომპოზიცია სიბრტყობრივ - ხაზობრივია, გამოსახულებათა პროპორციები დარღვეულია და ექსპრესიული;

გ) კომპოზიციის დინამიზმი დრაპირების გამოსახვისა და ფიგურათა პოზების თავისებურებით იქმნება;

დ) ფიგურათა სახეები რეალისტურია, ოსტატი პერსონაჟთა პორტრეტულ დახასიათებას გვთავაზობს.

7. რომელ ქართულ ადრექრისტიანულ ტაძარს ამკობს ფოტოზე წარმოდგენილი რელიეფური კომპოზიცია?



- ა) მცხეთის ჯვარს;
- ბ) ბოლნისის სიონს;
- გ) წრომს;
- დ) ატენის სიონს.

8. დააკვირდით არქიტექტურული ნაგებობის ფასადის დეკორატიული გაფორმების ერთ მონაკვეთს - სკულპტურული ფიგურების, მასკარონების და დეკორატიული ელემენტების კომპოზიციურ მთლიანობას. რომელი სტილის თავისებურებას შეესაბამება მსგავსი მხატვრული გააზრება?



- ა) მოდერნიზმის;
- ბ) მოდერნის;
- გ) ბაროკოს;
- დ) როკოკოს.

9. რომელი ეპოქის ან/და მიმდინარეობის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?



ა) გოთიკის;

ბ) რენესანსის;

გ) ბაროკოს;

დ) ექსპრესიონიზმის.

10. რომელი ეპოქის ან/და მხატვრული მიმდინარეობის ნიმუშია წარმოდგენილი მოცემულ სურათზე?



ა) გოთიკის;

ბ) ნეოკლასიციზმის;

გ) ბაროკოს;

დ) რომანტიზმის.

11. ვინ არის ფოტოზე წარმოდგენილი სურათის ავტორი?



ა) ირაკლი ფარჯიანი;

ბ) დავით კაკაბაძე;

გ) პეტრე ოცხელი;

დ) სერგო ქობულაძე.

12. რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშებისათვის?




ა) დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები წინაქრისტიანული ხანის ქართული მელითონეობის ტრადიციის გამომხატველია;

ბ) ცვილის მოდელის დაკარგვის ტექნიკით შექმნილი ნიმუშები ორიგინალურია და თავისუფალი მხატვრული ხასიათით გამოირჩევა;

გ) დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები შესრულების მანერით, ფორმითა და ხასიათით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია;

დ) ოთხკუთხედში ჩაწერილი, მთავარი და მცირე ზომის სტილიზებული გამოსახულებები აჟურულ, რელიეფ კომპოზიციას ქმნიან.

13. რომელ მხატვრულ მიმდინარეობას მიეკუთვნება წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?



- ა) ფუტურიზმს;
- ბ) ფოვიზმს;
- გ) სიურეალიზმს;
- დ) პოპ-არტს.

14. ჩამოთვლილთაგან რომელმა არქიტექტორმა დააპროექტა რომის წმინდა პეტრეს მოედანი?




ა) ბრამანტემ;

ბ) სანგალომ;

გ) ბრუნელესკიმ;

დ) ბერნინიმ.

15. რომელი მხატვრული ხერხი არ არის დამახასიათებელი ედვარდ ჰოპერის ფერწერული სურათისათვის „ჩოპ სუეი (ჩინური რაგუ)“?



- ა) ზედმიწევნით სწორი შეფარდება ფიგურებისა გარემომცველ სამყაროსთან;
- ბ) კომპოზიციის აგება კინო-კადრის პრინციპით;
- გ) წინა პლანის დეტალიზება;
- დ) ძირითადი და შედგენილი ფერების ჰარმონიული სინთეზი.

16. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის დეტალის მიხედვით დაასახელეთ ნაწარმოების ავტორი.





ა) მათიას გრუნევალდი;

ბ) ჰანს ჰოლბაინი;

გ) პიტერ ბრეიგელი;

დ) იან ვან ეიკი.

17. რომელი განმარტება გამოხატავს ხაზის თავისებურებას წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებზე?



- ა) პირველ სურათზე ხაზი მსუბუქი კონტრასტის ეფექტის შექმნას ემსახურება, მაშინ როცა მეორე სურათზე ხაზი სივრცის ილუზიის შესაქმნელადაა გამოყენებული;
- ბ) პირველ სურათზე ხაზით სილუეტური ნახატი, მეორე სურათზე კი ფაქტურაც იქმნება;
- გ) პირველ სურათზე ხაზი სიმეტრიისა და ბალანსის დაცვას ემსახურება, მეორეზე კი ჩრდილის ეფექტს ქმნის;
- დ) პირველ სურათზე ხაზი ნეგატიურ სივრცეს შემოსაზღვრავს, ხოლო მეორე სურათზე კი მისი საშუალებით სივრცეში თავშეყრის წერტილი იქმნება.

18. რომელი მხატვრულ-სტილური თავისებურებებით ხასიათდება სურათზე მოცემული ქართული შუა საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნიმუში?



ა) დაბალი რელიეფით შესრულებულ სიმეტრიულ კომპოზიციაში ფიგურული გამოსახულება მოცულობითია, პროპორციული და გამომსახველი;

ბ) მაღალი რელიეფით შესრულებული პლასტიკური ფიგურებისა და დახვეწილი ორნამენტული მოტივების სინთეზით ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იქმნება;

გ) ხაზობრივი, დეკორატიული ხასიათის დაბალი რელიეფით შესრულებული გამოსახულებები უტრირებული ფორმებითა და ექსპრესიით გამოირჩევა;

დ) მაღალი რელიეფით შესრულებულ წელს ზევით დაგრძელებულ ფიგურას ფორმათა უტრირება უფრო მანერულობას სძენს, ვიდრე ექსპრესიას.

19. მოცემული ფერწერული კომპოზიციებიდან რომელში ენიჭება ხაზს, როგორც სახვით საშუალებას, წამყვანი მნიშვნელობა?

ა)



ბ)



გ)



დ)



(1) № 20-25 დავალება - „ჭეშმარიტა-მცდარი“


დავალების ინსტრუქცია – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს - თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

ნიმუში:

დავალება № ჭ □ მ ☒
ფოტოგრაფიის მექანიზმ, ხეგან მონოქრომატული ფე-
ხენი მონოსტეგე, პოლმულონი ფეხები

20. წარმოდგენილი ფერწერული კომპოზიცია ბაროკოს ტიპური ნიმუშია.



21. წარმოდგენილი მითოლოგიური პერსონაჟი შუამდინარულ ღვთაებას განასახიერებს.



22. წარმოდგენილ სურათზე ფორმათა უტერიუბის საშუალებით მხატვარი გამოსახულებას ექსპრესიას სძენს.



23. ალექსანდრ კალდერის მოხილვები კინეტიკური ხელოვნების ნიმუშებია.

24. ჩიაროსკურო იტალიური ტერმინია და კონტურულ ნახატს ნიშნავს.

25. ნიშა ნახევარსფეროს აღმნიშვნელი ტერმინია.

(7) № 26 დავალება - *პრაქტიკული სამუშაო*

ინსტრუქცია - სანიმუშოდ მოცემულია ფოტო, რომელზეც გამოსახულია ნატურმორტი ნივრებით. წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით, თქვენ სამუშაო ფურცელზე შექმენით ნივრის გრაფიკული გამოსახულება. ნამუშევრის შექმნისას გაითვალისწინეთ კომპოზიციური განაწილების პრინციპები; მიაწიქეთ ფორმას მოცულობა, ასახეთ საგნის შესაბამისი ფაქტურა (*გაითვალისწინეთ! ფოტოზე არსებული შავი ფონის და ანარეკლების ასახვა ნამუშევარში სავალდებულო არ არის*); დავალება შეასრულეთ პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე.


(1) № 27-29 დავალება - *ქრონოლოგიის განსაზღვრა*



დავლების ინსტრუქცია – დაალაგეთ (უბველესიდან უახლესისაკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

27. დაალაგეთ არქიტექტურული ელემენტები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.



2.



3.




4.




28. დააღაგეთ წარმოდგენილი არქიტექტურული ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით:


1.




2.



3.



4.



29. დაალაგეთ წყვილადი პორტრეტები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.



2.



3.



4.





(3) № 30 დავალება - შესაბამისობის დადგენა

დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A ველში მოცემულ მხატვრულ მიმდინარეობებს B ველში მოცემული სახვითი ხელოვნების ნიმუშები. გაითვალისწინეთ, ერთ მიმდინარეობას მხოლოდ ერთი ნიმუში შეესაბამება.

A	1. პოსტიმპრესიონიზმი		2. ელინიზმი	3. არ-ნუვო	
B	ა.	ბ.	გ.	დ.	ე.
    					

(3) № 31 დავალება - შესაბამისობის დადგენა

დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A ველში მოცემული სახვითი საშუალებები და ხერხები B ველში მოცემულ ხელოვნების ნიმუშებს, რომლებშიც ეს ხერხები და საშუალებები მხატვრული სახის ხასიათის შექმნის საფუძველია. გაითვალისწინეთ, ერთ სახვით საშუალებას ან/და ხერხს მხოლოდ ერთი ნიმუში შეესაბამება.

A	B			
1. ფერი 2. ფაქტურა 3. რაკურსი	ა.	ბ.	გ.	
				
	დ.		ე.	
				

წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებია, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირების (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.


მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(4) № 32 დავალება

დავალების ინსტრუქცია - ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში ჩაფიქრებულია, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ილუსტრაცია. მოცემული სურათებიდან შეარჩიეთ ხელოვნების ერთი ნიმუში და დააკავშირეთ ის კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან. გააანალიზეთ ნაწარმოები და დაადგინეთ:

1.



2.



3.



4.



- ა. სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები, რომლებიც ავლენს ამ სურათების მიმართებას თქვენ მიერ დასახელებულ ნაწარმოებთან;
- ბ. რომელი მხატვრული ხერხების საშუალებით განასახიერებს ავტორი ნაწარმოების კონკრეტულ მონაკვეთს?

(15) № 33 დავალება - ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

დავალების ინსტრუქცია - გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში.



შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:

(3) **33.1** აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია;

რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია?
მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით,
სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია
წარმოდგენილი;

(3) **33.2** გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა
სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი
მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;



(3) **33.3** მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ ნამუშევრის შექმნის დრო; დაადგინეთ, რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

(3) **33.4** შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

(3) **33.5** იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა. შ. კონტექსტში.

II თავი

ტესტის შეფასების სქემა, ტესტურ დავალებათა ტიპები, განმარტებები, რეკომენდაციები

ხელოვნების პედაგოგთა 2020 წლის ტესტის შეფასების სქემა

1. გ;	10. ა;	19. ა.
2. ბ;	11. გ;	
3. ა;	12. გ;	
4. ა;	13. გ;	
5. ბ;	14. დ;	
6. ბ;	15. გ;	
7. ბ;	16. დ;	
8. ბ;	17. ბ;	
9. ბ;	18. ბ;	

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

20. მცდარია - რენესანსის

21. მცდარია - ეგვიპტურ ღვთაებას

22. ჭეშმარიტია

23. ჭეშმარიტია

24. მცდარია - შუქ-ჩრდილის მონაცვლეობას

25. მცდარია - ნიშა კედელზე შეჭრილ, შეღრმავებულ არეს ეწოდება; ნახევარსვეტი პილასტრია.

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

დავალება 26 (ხატვა)

შეფასების სქემა			
შეფასების კრიტერიუმები	0 ქულა	1 ქულა	3 ქულა
I. საკითხის გააზრება	დავალება არ არის ადეკვატურად გაგებული - აპლიკანტი ვერ ქმნის ნივრების გრაფიკულ გამოსახულებას	ქმნის ნივრების სქემატურ გამოსახულებას	ანიჭებს გამოსახულებას მოცულობას და ასახავს საგნის შესაბამის ფაქტურას
II. მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა, შემოქმედებითობა			აპლიკანტი ავლენს შემოქმედებით უნარს და გამომსახველობითი საშუალებების ოსტატურ ფლობას
III. კომპოზიციური განაწილება	კომპოზიციური განაწილების პრინციპები არ არის გამოყენებული	გამოსახულება კომპოზიციური განაწილების პრინციპებს შეესაბამება	

ჯამური ქულა: 7

27.	3	4	1	2
28.	4	1	3	2
29.	1	3	4	2

	ა	ბ	გ	დ	ე
30.1	X				
30.2			X		
30.3					X

	ა	ბ	გ	დ	ე
31.1	X				
31.2				X	
31.3			X		

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

დავალება 32

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტი ასახელებს მის მიერ შერჩეული ნაწარმოების შესაბამის სიუჟეტს და განმარტავს, თუ რომელი ნაწარმოების ილუსტრაციაა წარმოდგენილი ფოტოზე. ავლენს სახვით და კონტექსტუალურ თავისებურებებს, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას მის მიერ მოცემულ განმარტებასთან; განიხილავს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას.
3 ქულა	აპლიკანტი ასახელებს მის მიერ შერჩეული ნაწარმოების შესაბამის სიუჟეტს და განმარტავს, თუ რის ილუსტრაციას წარმოადგენს ის. ავლენს სახვით და კონტექსტუალურ თავისებურებებს, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას მის მიერ მოცემულ განმარტებასთან; ან განიხილავს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას.
2 ქულა	აპლიკანტი ასახელებს მის მიერ შერჩეული ნაწარმოების შესაბამის სიუჟეტს და განმარტავს, თუ რის ილუსტრაციას წარმოადგენს ის. ან ავლენს სახვით და კონტექსტუალურ თავისებურებებს, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას მის მიერ მოცემულ განმარტებასთან; ან არასრულყოფილად აანალიზებს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას.
1 ქულა	აპლიკანტი ან ასახელებს მის მიერ შერჩეული ნაწარმოების შესაბამის სიუჟეტს და ახერხებს კონტექსტუალური თავისებურებების გამოვლენას, რაც სიუჟეტის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა; ან არასრულყოფილად აანალიზებს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

დავალება 33.

შეფასების სქემა ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზისთვის	
ჯამური ქულა 15	
3 ქულა	საკითხის სრულყოფილადაა გააზრებული _ პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
2 ქულა	პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა, აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემტურია
1 ქულა	პასუხში ჩანს, საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემას. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
0 ქულა	პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული რაც მიუთითებს/ დაგვარწმუნებს რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო. • დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები; • პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი არგუმენტები და განმარტებები

1. ფერწერული პორტრეტი, აღმოსავლური ტიპის სამოსსა და თავსაბურავში წარმოდგენილი ახალგაზრდა ქალი, სპეციფიკურ პოზაში - მხრები პროფილში და სახე მაყურებლისკენ მობრუნებული $\frac{3}{4}$ ში, ყურზე დიდი ზომის მარგალიტის საყურით.
2. სურათი გამოირჩევა შესრულების რბილი ფერწერული მანერით. მკვეთრად არის განათებული კომპოზიციის ცენტრი - სახის გამოსახულება, რომელზეც, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი გოგონას მომხიბვლელობა მთელი სიცხადით აისახება. სიცხადეს ამ მხრივ ქალის სახეს საყურის, თვალებისა და ტუჩების სადაფისფერი თეთრი ბლიკები სძენს. განსაკუთრებულ გამომსახველობას და იდუმალების შეგრძნებას სურათის ფერადოვანი გადაწყვეტა განსაზღვრავს - სამოსის ოქროსფერი, იისფერი და კონტრასტული თეთრის განთავსება მუქ ფონზე. შუქ-ჩრდილით მოდელირებული გამოსახულების ტონალური გადასვლები, ატლასის პრიალა ფაქტურას რომ წარმოაჩენს, ცხოველხატულებითა და ციმციმით, სახის გამომეტყველებასთან ერთად, განსაკუთრებულ დინამიზმს სძენს გამოსახულებას.
3. იან ვერმერი, ნიდერლანდები, მე-17 ს.
4. აპლიკანტი ყურადღებას ამახვილებს რა მოსწონს მხატვრული და ფერწერული თვალსაზრისით.
5. გავლენები - კარგია, თუ აპლიკანტი ისაუბრებს ბაროკოს თავისებურებებზე, რითი შეიძლება შევარადოთ ბაროკოს - კომპოზიცია, განათება, კონტრასტი; ფერწერულობით და განათების თავისებურებით, ასევე ფაქტურის გამოსახვით შეიძლება ველასკესთან პარალელის გავლება; გამოსახულების გაბუნდოვანება.

I. დახურული კითხვები

დავალების აღწერა: ამ ტიპის დავალებაში თითოეულ კითხვაზე მოცემულია 4 სავარაუდო პასუხი. მათგან *მხოლოდ ერთია სწორი*. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

რეკომენდაციები დახურული კითხვების შესასრულებლად:

- ✓ პასუხის გაცემამდე ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა;
- ✓ დავალებებს უპასუხეთ პირობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- ✓ აუცილებლად წაიკითხეთ მოცემული ყველა სავარაუდო პასუხი, ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი. ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. მაგ., „ჩამოთვლილთაგან რომელი „არ არის““, „ყველაზე მეტად“ და ა. შ.;
- ✓ შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: „ყველაზე ნაკლებად“, „გარდა“ ან „არ“ მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ. ასეთ შეკითხვებში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

II. დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია დებულებები ტერმინთა თუ ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების განმარტებები, რომელთაგან ზოგი ჭეშმარიტია და შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო ზოგიერთ ტერმინს კი სრულიად შეუსაბამო განმარტება მოსდევს. თუ დებულება ჭეშმარიტია, ჭეშმარიტის შესაბამისი უჯრა უნდა მოვნიშნოთ X ნიშნით. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგვეთხოვება. თითოეული სწორად მონიშნული ჭეშმარიტი ფორმულირება ფასდება 1 ქულით. თუ ფორმულირება მცდარია, მცდარის შესაბამისი უჯრა X ნიშნით უნდა მოვნიშნოთ და საგანგებოდ გამოყოფილ არეზე ჩავწეროთ სწორი ფორმულირება. თუ თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ

წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი უნდა დატოვოთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნოთ და მიუსადაგოთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა. თუ აპლიკანტი სწორად მონიშნავს მცდარს უჯრას და მართებულ ფორმულირებას ჩაწერს, დავალება შეფასდება 1 ქულით. მხოლოდ სწორად მონიშნული მცდარის შესაბამისი უჯრა სწორი ფორმულირების ჩანაწერის გარეშე ფასდება 0 ქულით.

რას ვაფასებთ: ამ დავალებით ფასდება, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების თავისებურებებს. დავალება ფასდება 1 ქულით.

რეკომენდაციები „ჭეშმარიტი-მცდარი“ ტიპის დავალებების შესასრულებლად:

- ✓ საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ტიპის დავალებების შესრულებისას ძირითადი სირთულე მცდარად მოცემული ფორმულირების სწორად ჩაწერისას შეიქმნა. აპლიკანტმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია და გაითვალისწინოს მოთხოვნა - თუ ფორმულირებას მიიჩნევს მცდარად, ის აუცილებლად ჩაწეროს კორექტული (სწორი) ფორმით.
- ✓ აპლიკანტმა თავი უნდა აარიდოს მოცემული დებულების შებრუნებული ფორმით ჩაწერას. თუ დებულება პოზიტიური ფორმითაა ჩაწერილი (მაგ., **პორტალი კარის თავზე მდებარე ნახევარწრიული არეა.**), მას უარყოფითი ფორმის წინადადებად ნუ გადააქცევთ (მაგ., **პორტალი კარის თავზე მდებარე ნახევარწრიული არე არ არის**). ასეთი პასუხი სწორ პასუხად არ მიიჩნევა.

III. დავალება 26. პრაქტიკული სამუშაო

რას ვაფასებთ: მოცემული დავალება საშუალებას იძლევა, დადგინდეს აპლიკანტის მიერ მხატვრული ელემენტებისა და პროცედურების პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარი. ეს დავალება დაგვებმარება გავარკვიოთ, რამდენად შეძლებს პედაგოგი სწორად წარმართოს მოსწავლის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესი და მისცეს სასარგებლო რჩევები. ამ ტიპის დავალება შესრულდება ცალკე A4 ზომის ფურცელზე, რომელიც აპლიკანტს პასუხების ფურცელთან

ერთად გადაეცემა. აპლიკანტი ასევე უზრუნველყოფილი იქნება მოცემული დავალების შესაბამისი პრაქტიკული სამუშაოსათვის აუცილებელი რესურსით (მაგ., ფანქარი, საშლელი და ა. შ.). ამ ტიპის დავალების მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 7 ქულით.

IV. დავალება 27-29. ქრონოლოგიის განსაზღვრა

რას ვაფასებთ: დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვ.) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ). მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. დავალება 1 ქულით ფასდება.

V. დავალება 30-31. შესაბამისობის დადგენა

რას ვაფასებთ: დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი ველი. უნდა დადგინდეს წარმოდგენილ მოცემულობათა შორის არსებული შესაბამისობა. აპლიკანტმა ერთმანეთს უნდა შეუსაბამოს: ა. მიმდინარეობები, სტილები ან/და ეპოქები და მათი მხატვრულ-სტილური მახასიათებლები; ბ. მხატვრული ტექნიკები და მათი მხატვრული მახასიათებლები და ა.შ.

დავალება 3 ქულით ფასდება. ერთ მოცემულობას ჩამონათვალის ერთი სვეტიდან მხოლოდ ერთი მოცემულობა შეესაბამება ჩამონათვალის მეორე სვეტში.

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებათა შესასრულებლად:

- ✓ გაიაზრეთ A ველის მოცემულობები;
- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ B სვეტის ჩამონათვალი;
- ✓ აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი;
- ✓ პირველ რიგში მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნად);
- ✓ საბოლოოდ სწორი პასუხი უნდა ჩაიწეროს პასუხებისათვის განკუთვნილ ცხრილში.

IV. დავალება 32

ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში ჩაფიქრებულია, როგორც კულტურის ისტორიის, ისტორიული ფაქტის, ან ლიტერატურული ნაწარმოების, მითის და ა. შ. ინტერპრეტაცია. მოცემული ჩამონათვალიდან შეარჩიეთ ხელოვნების ერთი ნიმუში და დააკავშირეთ ის კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან, ლიტერატურულ ნაწარმოებთან, მითთან და ა. შ. გაანალიზეთ ნაწარმოები და დაადგინეთ:

ა. სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას თქვენ მიერ დასახელებულ მოვლენასთან, ისტორიულ ფაქტთან, ლიტერატურულ ნაწარმოებთან და ა. შ.;

ბ. რომელი მხატვრული ხერხების საშუალებით გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას?

აპლიკანტი ასახელებს მის მიერ შერჩეული ნაწარმოების შესაბამის ისტორიულ მოვლენას, ლიტერატურულ ნაწარმოებს და ა. შ. ავლენს სახვით და კონტექსტუალურ თავისებურებებს, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას მის მიერ დასახელებულ მოვლენასთან, ლიტერატურულ ნაწარმოებთან ...; განიხილავს მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას. დავალებით მოწმდება აპლიკანტის ანალიზის უნარი.

რეკომენდაციები:

- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა;
- ✓ დავალება არ მოითხოვს მხატვარზე ინფორმაციის მოწოდებას, ან რომელიმე ნაწარმოების შექმნის ისტორიის გადმოცემას. მკაფიოდ, მოცემულობის შესაბამისად, უნდა დავაკავშიროთ ხელოვნების ნიმუში მოვლენასთან, ლიტერატურულ ნაწარმოებთან და ა. შ. და დასახელებს ის მხატვრული ნიშნები, თუ შინაარსობრივი მახასიათებლები, რაც ამ კავშირზე მიუთითებს, ასევე მხატვრული სახის შესაქმნელად გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები გაანალიზდეს, რასაც მხატვარი იყენებს კონკრეტული ხასიათის შესაქმნელად;
- ✓ პასუხის მოცულობის გაზრდის მიზნით არ არის სასურველი ზოგადი და არაფრის მთქმელი ფრაზების გამოყენება, რაც პასუხის ხარისხს მნიშვნელოვნად წევს დაბლა. უმჯობესია, მსჯელობა კონკრეტულად საკითხს შეეხებოდეს. ხშირად ერთი წინადადება გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის აპლიკანტზე, ვიდრე ზოგადი ფრაზებით მაღალფარდოვანი მსჯელობა.

V.

დავალება 33 - ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

რას ვაფასებთ: დავალებაში მოცემულია ხელოვნების ნიმუში, რომელსაც თან ახლავს მითითებები. ეს მითითებები აპლიკანტს მიმართულებას მისცემს ხელოვნების ნიმუშის აღწერისა და ანალიზის დროს თანმიმდევრულად იმსჯელოს მნიშვნელოვან ასპექტებზე - ძირითად სახვით და მხატვრულ-სტილურ მახასიათებლებზე (ხელოვნების ელემენტები, პრინციპები), მათ საფუძველზე შეძლოს ეპოქის, სტილისა და ავტორის იდენტიფიცირება, შეაფასოს და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მოცემული ნიმუშის მიმართ, გაიაზროს ნიმუში ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტში, გამოიტანოს დასკვნები. ყოველი მითითების შესაბამისი პასუხი ფასდება 3 ქულით. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მხატვრული ნაწარმოების აღქმის, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის, ანალიტიკური აზროვნების უნარს. დავალება ფასდება 15 ქულით.

დავალება 33-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალებების მითითებების არასრული გააზრება.** მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს.
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია. მაგ., სახვით საშუალებებზე მსჯელობისა და მათი გაანალიზების ნაცვლად იგი საუბრობს აჯანყებაზე, სიუჟეტის დინამიკურობაზე, ან სიმშვიდეზე, პერსონაჟთა თავისებურებებზე და ა. შ. ასეთი პასუხები დავალების პირობაში მოცემულ მითითებებს არ შეესაბამება და ფასდება 0 ქულით.
- **არგუმენტების სიმწირე.** როდესაც დავალების პირობაში საუბარია ნაწარმოების შეფასებაზე, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაზე, აპლიკანტმა უნდა დაასაბუთოს საკუთარი შეხედულებები მყარი არგუმენტებით: რა ნიშნით აფასებს ნაწარმოებს, ოსტატის მიერ გამოყენებულ რომელ სახვით საშუალებებსა და ხერხებს ეფუძნება მისი მოსაზრებები, რომელ მხატვრულ ხერხსა და საშუალებას იყენებს ოსტატი ნაწარმოებში ხასიათის შესაქმნელად და იდეის გადმოსაცემად.

- **მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა კონტექსტში განხილვის დეფიციტი.** ხელოვნების ისტორიის განვითარების მანძილზე მწელად თუ მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც სრულებით ამოვარდნილია ისტორიულ-კულტურული თუ სოციალური კონტექსტიდან. ყოველ ნაწარმოებს, მიუხედავად მკვეთრად დამახასიათებელი და ყველასგან გამორჩეული სტილისა და ინდივიდუალიზმისა, გარკვეული საფუძვლები გააჩნია და კულტურული კუთვნილების მატერებელია. სასურველია, აპლიკანტმა მოახერხოს მსჯელობის ამ მიმართულებით წარმართვა. შესაძლოა, ყოველგვარ ცოდნაზე დაყრდნობის გარეშე, მან გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, დააკავშიროს მხატვრული ფორმა და შინაარსი, გაავლოს ისტორიული ან/და სოციალური პარალელები, მხატვრული ფორმის თვალსაზრისით შეადაროს მისთვის ნაცნობ ამავე თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, გაავლოს პარალელები, აღმოაჩინოს განმასხვავებელი ნიშნები და ამ მსჯელობაზე დაყრდნობით ნაწარმოების წარმომავლობასთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნები გააკეთოს.

რეკომენდაციები:

- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, პასუხისას დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია გაითვალისწინეთ;
- ✓ პასუხის გაცემისას ნუ გაიმეორებთ დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას;
- ✓ პასუხის მოცულობის გაზრდის მიზნით არ არის სასურველი ზოგადი და არაფრის მთქმელი ფრაზების გამოყენება, რაც პასუხის ხარისხს მნიშვნელოვნად წევს დაბლა. უმჯობესია, მსჯელობა კონკრეტულად საკითხს შეეხებოდეს. ხშირად ერთი წინადადება გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის აპლიკანტზე, ვიდრე ზოგადი ფრაზებით მაღალფარდოვანი მსჯელობა.

დანართი I

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ის აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომელიც შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევრებში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში; შექმნის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი ხელოვნების მიმართ;
- მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი;

- მოსწავლეს განუვითაროს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე აზრის კორექტულად გამოთქმის, მსჯელობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნებად ეროვნული და მსოფლიო კულტურის გაცნობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** - გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე მხატვრული ნამუშევრების შექმნას, მათი საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.
სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შემდეგი მასალა, იარაღი, პროცესი, პროცედურა: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა. დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.
- **ხელოვნების აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა დარგის, ჟანრის, ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,**ს.გ. საბ. 1.:**

„**ს.გ.**“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„**საბ.**“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1**“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსები	მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.1.	ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება;	სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები სახვითი ხელოვნების ტექნიკა ეპოქა მიმდინარეობა
ს.გ.საბ.2.	ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.	
მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ს.გ.საბ.3.	ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;	
ს.გ.საბ.4.	სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.	

ცნებები

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებები და ხერხები

სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები) (მაგ.: **ხაზი**: სხვადასხვა ტიპის და სისქის, კონტური, შტრიხი; **ფერი**: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ნეიტრალური, კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი; შუქ-ჩრდილი, განათება; **ფორმა**: ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.); ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.

სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები) (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, ელემენტების განმეორებადობა, რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, თანაფარდობა, მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სივრცე, პერსპექტივა (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი), კომპოზიციური მთლიანობა.

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (დარგები - მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური - ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.; **ჟანრები** - მაგ: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.).

სახვითი ხელოვნების ტექნიკა (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელობა, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები).

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის ხელოვნება (მაგ.: პრეისტორია, ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, ახალი დროის ხელოვნება (XVII-XIX სს.), მოდერნიზმი, თანამედროვე ხელოვნება.

სავალდებულო თემატური ბლოკები

საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება წარიმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: გარემო - ადამიანის ინტერესის ობიექტი; გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე; ხელოვნება ჩვენ გარშემო (ხელოვნების დარგები და ჟანრები); სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები - სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება.

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

სარეკომენდაციო თემები: ადამიანის გამოსახულება და რწმენა-წარმოდგენები; ხელოვნება - პიროვნული რეალიზების საშუალება; მე - კულტურის ნაწილი; თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები, შეხედულებები, წარმოდგენები; თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები.

თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

სარეკომენდაციო თემები: ხელოვნება - ისტორიული მეხსიერება, რას და როგორ გვიყვება ხელოვნება; კულტურული მემკვიდრეობა; ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება, ხელოვნება - საჭიროება თუ ფუფუნება; ხელოვნება - ზემოქმედების საშუალება (მონუმენტური ხელოვნება, პლაკატი, რეკლამა, ქუჩის მხატვრობა, ხელოვნება, როგორც აქცია და სხვ.).

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა არის ხელოვნება?
- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- როგორ და რატომ იცვლებოდა ხელოვნების დანიშნულება?
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რატომ ვსწავლობ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ნამუშევრების შექმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს „ნიჭი“ და „შემოქმედებითობა“. შემოქმედებითი ნამუშევარი/პროდუქტი თვითგამოხატვის თვითრეალიზების საშუალებაა, თუმცა უფრო ხშირად, ამ თვალსაზრისით, თავად შექმნის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი, ანუ, კვლევის, აღმოჩენის, ექსპერიმენტირების პროცესი – რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს – და არა პროდუქტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მასალას, ტექნიკას, ტექნოლოგიას (მათ შორის, ციფრულს) და პროცედურას, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება აქტიურად გამოიყენოს მომავალში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე ასევე უნდა დაეუფლოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით; განუვითარდეს სოციალური, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიოს უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	• ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის მიცემა; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი (არჩევანის) დასაბუთება.
თანამშრომლობა	• სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	• ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	• კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	• აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის;

	• სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციომოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიმძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	• სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• ქსელური ძიება (მაგ., სხვადასხვა დროისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ხელოვნების შემოქმედების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების მიზნით); • Google Arts & Culture-ის საშუალებით საკუთარი გალერეის შექმნა. • ნამუშევრების შექმნა, დამუშავება კომპიუტერული სახატავი /გრაფიკული პროგრამების გამოყენებით; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	• ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას

შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა - სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები - ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემატური საკვანძო შეკითხვები - თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. კომპლექსური/პროექტული დავალებათა იდეების ჩამონათვალი კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
შეფასების ინდიკატორები - შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.
მკვიდრი წარმოდგენები - მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების

ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები, გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა.
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა.
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.
ნაბიჯი 4. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა.
ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების შესრულება. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- პრაქტიკული სამუშაო - ნამუშევრის შექმნა;
- გამოფენა;
- პროექტი (ვიქტორინა, რომელიმე ხელოვანის შემოქმედების კვლევა, მსოფლიოში/ქვეყანაში/ქალაქში/რეგიონში და სხვ. მომხდარი მოვლენები (ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვ.) სკოლის გარემოს გაფორმება და სხვ.);
- მოხსენება-რეფერატი;
- ნამუშევრის წარდგენა;
- გარკვეული ეპოქის, ხელოვნების ნიმუშის და სხვ. ანალიზი;
- სააზროვნო უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული ტესტი;
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

დანართი II

2021 წლის მასწავლებელთა ტესტირების პროგრამა სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში

2021 წლის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდის პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში	
საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. ხელოვნების ისტორია	
1. პროფესიული ცოდნა	• ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სტილისა და მიმდინარეობების მხატვრული მახასიათებლები; • ტერმინები და მხატვრული ენა; • სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები; • სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები (სახვითი საშუალებები) და პრინციპები (სახვითი ხერხები) (ხაზი, კონტური, ფერი, ფორმა, ორნამენტი, კოლორიტი, ტონალობა, შუქ-ჩრდილი, გრადაცია, ფაქტურა, მოცულობა, მასშტაბი, აქცენტი, მთლიანობა, პროპორცია, სივრცე, ხედვის წერტილი, პერსპექტივა, სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, მრავალფეროვნება, დინამიკა, კომპოზიცია); • სახვითი მასალა და ტექნიკა (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, მოზაიკა, ქაღალდის პლასტიკა, კოლაჟი, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება სხვადასხვა მასალის გამოყენებით).

2. პრეისტორიული ეპოქის ხელოვნება	სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის წარმოშობა, პირველყოფილი ხელოვნება: პერიოდიზაცია, პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ძეგლები: მცირე პლასტიკა - ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება; გამოქვაბულის მხატვრობა (ტასილი, ალტამირა, ლასკო), არქიტექტურა (დოლმენები, სტოუნჰენჯი).
3. ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება ა. ეგვიპტის ხელოვნება ბ. შუამდინარეთის ხელოვნება	ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; წინადინასტიური, ძველი, შუა, ახალი სამეფოების და გვიანდელი პერიოდის ეგვიპტური ხელოვნება - არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი, კედლის მხატვრობა (მასტაბები, გიზას პირამიდები, მენტუხოტეპებისა და ჰატშეფსუტის სატაძრო კომპლექსი დეირ ელ-ბაჰარიში, ლუქსორის და კარნაკის სატაძრო კომპლექსები თებეში, რამსესის ტაძარი აბუსიმბელში. ნარმერის ფილა, მწერალი კას ქანდაკება, ხეფრენის დიდი სფინქსი, მემნონის კოლოსები, სამარხის კულტთან დაკავშირებული პორტრეტული ქანდაკებები. სამარხის მხატვრობა; ამარნის კულტურა: ეხნატონის, ნეფერტიტის ქანდაკებები, ახეტატონის სასახლის რელიეფები და მოხატულობა). ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; ✓ შუმერის და აქადის ხელოვნება არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება (ურის ზიკურატი; რელიეფები: ყვავების სტელა, ნარამ-სინის სტელა, ჰამურაბის სტელა; ქალღმერთი ურუქიდან, ღმერთი აბუ, ებიხ-ილი, სარგონ აქადელი (ძველი), გუდეა, იშტარი).

	✓ ასურეთის ხელოვნება არქიტექტურა, ქანდაკება და გლიპტიკა (სარგონ II-ის სასახლე დურ-შარუკინში და მისი რელიეფები, შედუ სარგონ II-ის სასახლიდან, აშურბანიფალ II-ის სასახლის რელიეფები ნინეფიაში; საბეჭდავები). ✓ ბაბილონის ხელოვნება არქიტექტურა, ქანდაკება (იშთარის კარიბჭე). ✓ აქემენიდური ირანის ხელოვნება ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება: ფასარგადის, პერსეპოლისის არქიტექტურული კომპლექსები (სასახლეები, რელიეფი, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება)
4. ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი ა. ეგეოსური სამყაროსა და ძველი საბერძნეთის ხელოვნება ბ. ბერძნული არქაული ხელოვნება გ. ბერძნული კლასიკური ხელოვნება	ანტიკური ხელოვნების პერიოდიზაცია; ანტიკური სამყაროს მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. კრეტა-მიკენის ხელოვნება (კნოსოსის სასახლის არქიტექტურა, ქანდაკება, კედლის მხატვრობა: „პარიზელი“ ქალის პორტრეტი, აკრობატები ხარზე, კედლის მხატვრობა ცისფერი ჩიტი; მეფე-ქურუმის რელიეფი; მიკენის აკროპოლისი - ლომების კარიბჭე, აგამემნონის ნილაბი, კერამიკა). არქიტექტურული ორდერი, კუროსები და კორები, კერამიკაზე მხატვრობა – კერამიკული ჭურჭლის სახეობები, კერამიკული მხატვრობის სტილები. პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი; ადრეული კლასიკა (პოსეიდონის ტაძარი პესტუმში, ათენა აფაიას ტაძარი კუნძულ ეგინაზე, დელფოსის მეტლე, მეხისმტყორცნელი ზევსის ქანდაკება, მირონის

დ. ელინისტური ხელოვნება	შემოქმედება); მაღალი კლასიკა (ათენის აკროპოლისი, ფიდიასისა და პოლიკლეტოსის შემოქმედება); გვიანი კლასიკა (ეპიდავროსის თეატრი, არტემისის ტაძარი ეფესოში, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, სკოპასის, პრაქსიტელისა და ლისიპეს შემოქმედება). არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (ზევსის ტაძარი ოლიმპიაში, პერგამონის არქიტექტურა და რელიეფი, მოზაიკა დელოსის ნიღბების სასახლიდან, ქანდაკება პერგამონიდან, ნიკე სამოთრაკიელი, აფროდიტე მილოსელი, ფილოსოფოსის თავი (ე.წ. სენეკა), აგასიოს ეფესელი (ბორგეზელი მეომარი) ლაოკოონი).
ე. ეტრუსკული ხელოვნება	არქიტექტურა (საკულტო ნაგებობებისა და სახლების ტიპები); აკლდამების მხატვრობა (ვაკხანტების, ლომების, ლეოპარდის სამარხის მოხატულობა), ეტრუსკული ქანდაკება (ჰერმესისა და აპოლონის ქანდაკება ვეიდან, ჩერვეტერის სარკოფაგი).
ვ. რომის რესპუბლიკისა და იმპერიის ხელოვნება	პერიოდიზაცია; ქალაქთმშენებლობა, არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა/მოზაიკა, რელიეფი (რომის ფორუმი, პომპეის სასახლები, აკვედუკები, ხიდები, თერმები, ტრიუმფალური თაღები, სარკოფაგები – ვია აპია, ფაბრიციუსის ხიდი რომში, ადრიანეს მავზოლეუმი რომში, ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რომში, კარაკალას თერმები, ევრისაკის სამარხი რომში, ცეცილიუს მეტელას სამარხი რომში, მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება, ტრაიანეს სვეტი, კოლიზეუმი, რომის პანთეონი, პომპეის მხატვრობა, ფაიუმის პორტრეტები).

5. ბიზანტიის ხელოვნება	ბიზანტიური ხელოვნების თავისებურებები; ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; ბიზანტიური არქიტექტურის ტიპები (რავენას გუმბათური ხუროთმოძღვრება - სან ვიტალე; აია სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში); ბიზანტიური ფრესკული და მოზაიკური მხატვრობა (სან ვიტალე, აია სოფია, გალა პლაციდიას მავზოლეუმი, სან აპოლინარე ნუოვო, მინიატურა (რაბულას და როსანოს კოდექსები).
6. ქართული ხელოვნება	ქართული ხელოვნების უძველესი ნიმუშები და უძველესი ნაგებობანი; ანტიკური ხანის ქართული ხელოვნება (კოლხური სამკაული); ქართული ქრისტიანული ხელოვნების პერიოდიზაცია/ისტორიულ-კულტურული კონტექსტი; ბაზილიკისა და დარბაზული ეკლესიის თემა ქართულ არქიტექტურაში; გუმბათოვანი ტაძრის თემა ქართულ არქიტექტურაში; ტეტრაკონქი - მცხეთის ჯვარი და ჯვრის ტიპის ძეგლები; ქართული კათედრალური – ოშკი, ბაგრათი, სვეტიცხოველი, ალავერდი; სამთავრო-სამთავისის ტიპის ძეგლები; VI-XVI სს. ქართული რელიეფი; ადრეული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული მოზაიკური მხატვრობა; შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობა; ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ეტაპები; IX-XIII სს-ის ჭედური ხელოვნების თავისებურებები; XIX-XX სს-ის ქართული სახვითი ხელოვნება (თბილისური პორტრეტი; აკადემიური მხატვრობა – გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, რუსული რეალისტური ხელოვნების გავლენა); ახალი და თანამედროვე ხელოვნება: მხატვრები - ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, კირილე ზდანევიჩი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი, სერგო ქობულაძე, ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, ირაკლი ფარჯიანი, მერაბ აბრამიშვილი; თეატრის მხატვრები – ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი; მოქანდაკეები - იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, გოგი ოჩიაური.

7. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება ა. საფრანგეთის რომანული ხელოვნება ბ. საფრანგეთის გოთური ხელოვნება გ. გერმანიის რომანული ხელოვნება დ. გერმანიის გოთური ხელოვნება ე. ინგლისის რომანული ხელოვნება ვ. ინგლისის გოთური ხელოვნება	რომანული და გოთური ხელოვნების მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში; ხელოვნების სინთეზის საკითხი შუა საუკუნეების ხელოვნებაში – არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა. წმ. ტროფიმეს ტაძარი არლში, წმ. ლაზარეს ტაძარი ოტუნში, წმ. პეტრეს ტაძარი მუასაკში (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი). პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, შარტრის ტაძარი, რუანის, სტრასბურგის კათედრალური ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი). ვორმსის ტაძარი, მაინცის კათედრალური ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი) მარბურგის ტაძარი, ნაუმბურგის ტაძარი, კიოლნის ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი). დურჰამის კათედრალური ტაძარი, კათედრალური ტაძარი ილიში (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი). ექსეტერის კათედრალი, ვესტმინსტერის სააბატო, სამეფო კოლეჯის კაპელა, უელსის კათედრალი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი).
---	--

8. რენესანსის ხელოვნება ა. იტალიური რენესანსი ბ. გერმანული რენესანსის ქანდაკება და მხატვრობა გ. ნიდერლანდების ხელოვნება XV-XVI საუკუნეებში	პერიოდიზაცია; რენესანსის ეპოქის ისტორიულ-კულტურული ასპექტები; ადრეული რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (სკროვენის კაპელა პადუაში, კამპოს მოედნის არქიტექტურა სიენაში, ბაფტისტერიუმი ფლორენციაში, ფილიპო ბრუნელესკის, ლორენცო გიბერთის, დონატელოს, ჯოტოს, მაზაჩოს, პიერო დელა ფრანჩესკას, სანდრო ბოტიჩელის შემოქმედება), მაღალი და გვიანი ხანის რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (წმ. პეტრეს ტაძარი, მედიჩების სასახლე და განსასვენებელი, პაპი იულიუს II-ის განსასვენებელი, ჯორჯონეს, ტიცIANის, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, მიქელანჯელოს შემოქმედება). მატიას გრუნევალდის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის შემოქმედება. იან ვან ეიკის, როგირ ვან დერ ვეიდენის, იერონიმუს ბოსხის, პიტერ ბრეიგელის შემოქმედება.
9. XVII-XIX სს. ევროპული ხელოვნება	ისტორიულ-კულტურული, სოციალური მიმოხილვა: ბაროკოს, როკოკოს, რომანტიზმის, ნეოკლასიციზმის და რეალიზმის მხატვრული მიმდინარეობები: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება (ბერნინი, ელ გრეკო, დიეგო ველასკესი, პიტერ პაულ რუბენსი, რემბრანტი, იან ვერმეერი, ანტუან ვატო, ჟაკ ლუი დავიდი, ოგიუსტ დომინიკ ენგრი, ეჟენ დელაკრუა, ფრანსისკო გოია, უილიამ ტერნერი, გუსტავ კურბე, ონორე დომიე).
10. ახალი და თანამედროვე დასავლური ხელოვნება	იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი (აფრიკული ქანდაკებისა და ნიღბების, კოლუმზამდელი სამხრეთ ამერიკის,

	იაპონური ხელოვნების გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე), ნაივური ხელოვნება, არ-ნუვო, სიმბოლიზმი, ავანგარდული ხელოვნება - აბსტრაქციონიზმი, სურეალიზმი, დადაიზმი, პოპ-არტი: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება (ედუარდ მანე, კლოდ მონე, ედგარ დეგა, პიერ-ოგიუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, ოგიუსტ როდენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ვან-გოგი, ოდილონ რედონი, ედვარდ მუნკი, ანრი მატისი, პაბლო პიკასო, ჟორჟ ბრაკი, ანრი რუსო, გუსტავ კლიმტი, სალვადორ დალი, რენე მაგრიტი, ალბერტო ჯაკომეტი, მარკ შაგალი, ვასილი კანდინსკი, კაზიმირ მალევიჩი, ხუან მირო, მარსელ დიუშანი, პიტ მონდრიანი, კონსტანტინ ბრანკუში, ჯექსონ პოლოკი, ენდი უორჰოლი, მარკ როტკო. რობერტ რაუშენბერგი; არქიტექტორები: ანტონი გაუდი, გუსტავ ეიფელი, ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდ რაიტი, ფრენკ გერი).
11. შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება ა. ძველი ინდოეთის ხელოვნება ბ. ძველი ჩინეთის ხელოვნება გ. იაპონიის ხელოვნება	სტუპები, დრავიდული არქიტექტურის ნიმუშები, მოგოლთა მმართველობის პერიოდის ხელოვნება – ტაჯ-მაჰალის არქიტექტურული კომპლექსი; ინდური მინიატურა. არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნება (პაგოდები, ჩინეთის კედელი; ტერაკოტას არმია, ბუდას ქანდაკებები; კერამიკა, აბრეშუმი, მინიატურა). არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნება (პაგოდები, იმპერატორის სასახლე კიოტოში, ბუდას ქანდაკებები; მხატვრობა კერამიკაზე, აბრეშუმზე, ანაბეჭდები (კაცუშიკა ჰოკუსაი და ანდო ჰიროშიგეს შემოქმედება).

12. ისლამური ხელოვნება	სპარსული და არაბული არქიტექტურა, ხალიჩები, კერამიკული ფილები - შორენკეცები, მინიატურა, ყაჯარული მხატვრობა, კალიგრაფიის ნიმუშები.
2. შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარები	
ხელოვნების პრინციპებისა და ელემენტების გამოყენება ნამუშევრის შექმნისას	კომპოზიციური განაწილება, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება, სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი და ა.შ.) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა სხვადასხვა ტექნიკის, პროცედურის (ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟის, აპლიკაციის) გამოყენება, ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას.